

# ახალი თაობა



## გორის დილამ დანიურ ოლბორგს 3:0 მოუგო

გუშინ, 18 ივლისს, ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გორის დილამ თბილისში დანიურ ოლბორგს უმასპინძლა. შეხვედრის პირველი ტაიმი ფრედ 0:0 დასრულდა. მეორე ტაიმი კი მასპინძლებმა პირნმინდად მოიგეს. ანგარიში 61-ე წუთზე ირაკლი მოდებაძემ გახსნა, 68-ე და 90-ე წუთებზე კი გორელიშვილმა ორჯერ გაუტანა დანიელებს და გორის დილამ შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა – 3:0. ამ მოგებით გორელებმა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი მნიშვნელოვნად გაზარდეს.

პარასკევი, 19 ივლისი, 2013

№169 (6170)

ფასი: 30 თეთრი

## აპ.5 არჩილ კვიციანი: „ზურაბ ჟვანიას საქმე მაღა გაიხსნება“




„სააკაშვილის დაკითხვა დღის წესრიგში ჯერჯერობით არ დგას“

**ჯონდი ბალთუჩია:**  
**„ივანიშვილის მთავრობა  
გზად არ არის,  
ჩაატაროს სამართლიანი  
და დემოკრატიული  
არჩევნები“** **აპ.3**

საპრეზიდენტო არჩევნები ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კოდექსით ჩატარდება



## პოლიციამ სამეგრელოში „მარცხუნას“ პლანტაჟია აღმოაჩინა **აპ.4**



**გობა სინიდრაძე:**  
**„სააკაშვილი  
აუსილაბლად  
დაჯდება  
ბანსასჯელის  
სკამზე“** **აპ.2**



**აპ.5 კახა  
კახიშვილი:**  
**„ვადავლი  
საპარლამენტო  
არჩევნები  
ბარდაუვალია“**



**ზაქარია  
ქუსნაშვილი:**  
**აპ.5 „კახა  
ქუკავა  
უზრდელის“**

## ურა ნანუაშვილი აკოშიბრანტაბისთვის სტაბუსის **აპ.6** ვინიჭებას ითხოვს



**თემურ შაშიაშვილი:**  
**„ბურჯანაძის  
გაპრავილდებება  
აპ.4 ივანიშვილის  
ინტერესებშია“**

## იტალიაში ბინების ქარხნული ექვმიტანილი 37 ქართველი დააკავეს

იტალიის დედაქალაქ რომში, კარაბინერების კორპუსის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში, 37 ქართველი ბინის ქურდი დააკავეს, რომელთა შორის 3 ქალია. ინფორმაციას ამის შესახებ „ნოვი რეგიონი“ იტალიურ მედიაზე დაყრდნობით ავრცელებს. კარაბინერების კორპუსის წარმომადგენლის განცხადებით, დაკავებული ჯგუფი განსაკუთრებით საშიშია, რადგანაც თავის შემადგენლობაში, დანაშაულის ამ ტიპისთვის, უწყველად ბევრი წევრს აერთიანებს. დაჯგუფება საკეტის გახსნის ახალ ტექნიკას „key bumping“-ს იყენებდა, რომელიც გატყვის კვალს არ ტოვებს. კარაბინერებმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ მაღალხარისხიანი უნივერსალური საკეტის გასატყვი მონაცემები საქართველოში მზადდებოდა და აქედან იგზავნებოდა იტალიაში. ქართველების მიერ რომის შემოღარეში ნაქირავეები ბინიდან 2 მილიონი ევროს ღირებულების ოქრო, ვერცხლი, ძვირფასეულობა და ძვირად ღირებული კომპიუტერები ამოიღეს. **ნიუსბრეისი**

## აპ.6 რუსეთი თავის მოქალაქეებს უზრუნველყოფს და სამხრეთ ოსეთში ბიზნესის დაწყებისგან თავის შეკავებას ურჩევს



**2** ვიხილ  
სააკაშვილი:  
„კგ-მ პირველ  
კურსზე  
დაგეგმილია“

**6** ბიძინა ივანიშვილი:  
„ოპოზიციის  
საპრავილდებო  
არჩევნები საქართველოში  
ინტორიანი სანიშნო  
იქნება“

**4** პრავილდებობის  
მსურველთა  
რიცხვი  
თოთხმეტამდე  
გაიზარდა

**6** თსუ რაქმორის  
არჩევნებში  
14 კანდიდატი  
ვილიჯას  
მონაწილეობას





# ჯონდი ბალათურია: „ივანიშვილის მთავრობა მზად არ არის, ჩაატაროს სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები“

## საპრეზიდენტო არჩევნები ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კოდექსით ჩატარდება



ნათია ხურცილავა

არასაპარლამენტო ოპოზიცია პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან ითხოვს შეხვედრას. შეხვედრის მოთხოვნის მიზნები, როგორც ისინი ამბობენ, ჩაშლილი მოლაპარაკებებია.

წინააღმდეგ შემთხვევაში არასაპარლამენტო ოპოზიციამ, შესაძლოა, 2103 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დააყენოს.

გუშინ, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ 12 არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიის ლიდერები და წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რომლებიც საარჩევნო კოდექსში საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცვლილებების განხორციელებას ითხოვენ.

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, კახა კუკავას განცხადებით, შეუძლებელია ასე გაგრძელდეს და არჩევნების ლეგიტიმური ეწოდოს.

12 არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებს შორის მოლაპარაკება შეხვედრის დაწყებისას პრესისთვის ღია იყო, თუმცა პარტიების ნაწილის მოთხოვნით მედიისთვის ხსოვს დაიხურა.

თუმცა, როგორც ჩვენთვის შეხვედრის დაწყების შემდეგ ცნობილი გახდა, შეხვედრაზე განხილულ იქნა გაუქმებული საკანონმდებლო ინიციატივა საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რის შესახებაც გადწყვეტილება ინტერფრაქციულ ფორმატში მიიღეს.

**ლევან ვეფხვაძე, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი:**

— სხვათა შორის, „ნაციონალურ მოძრაობასაც“ კი არ გაუკეთებია ის, რაც ამით გააკეთეს. მივიღეთ მდგომარეობა, როდესაც კონკრეტულ საბაზს ეძებენ. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ რატომ შევიკავეთ თავი: მემორანდუმში ორი კანონი იყო ნახსენები, ერთი პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ, მეორე, საარჩევნო კოდექსის შესახებ. ჩვენ ამ საკითხებზე შეთავაზება გააკეთეთ და ქუთაისის შეხვედრაზე ამაზე პასუხი არ მივიღია. პასუხი მივიღეთ ზაქარიას ქუცნაშვილისგან, მაგ სიმართლით იაროს ბატონმა ზაქარიამ. ერთი კვირის წინ გვეუბნებოდნენ, აგერ დოკუმენტი და ხელი მოაწერეთო. თუ საბაზია, რომ ხელი არ მოვაწერეთ, მაშინ ერთ კანონს



წინ, როცა საკანონმდებლო ინიციატივა შეჰქონდათ. — განაცხადა ჯონდი ბალათურია. შეხვედრის დასრულების შემდეგ ჯონდი ბალათურია განაცხადა, ოპოზიციურ პარტიებს საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით ერთნაირი პოზიცია აქვთ.

— ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებამ ჩაშალა საარჩევნო რეფორმა იმის გამო, რომ ის არ აღმოჩნდა მზად, ჩაატაროს სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები. სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება არის პრემიერ-მინისტრის პასუხისმგებლობა იმიტომ, რომ მას გააჩნია ყველა მექანიზმი და ინსტირუქტი. მათ შორის პოლიტიკური პასუხისმგებლობის ნება, ჩატარდეს სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები და შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. ჩვენ ასევე უნდა საკითხთან დაკავშირებით პასუხს ველოდებით პრემიერ-მინისტრისაგან. შესაძლოა დაიგეგმოს მასთან შეხვედრა, რათა ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებას, დიპლომატიურ კორპუსს, პრემიერ-მინისტრმა უნდა გასცეს პასუხი, ატარებს თუ არა ის დემოკრატიულ არჩევნებს. მზად არის თუ არა, შეასრულოს პირობა, რაზეც შეთანხმდა 20 პოლიტიკური სუბიექტი და აღადგინოს ის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც გაფორმებული იქნა მემორანდუმით. — აცხადებს ბალათურია.

გუშინ ასევე დაისვა კითხვა — დადგება თუ არა არჩევნების ბოიკოტირების საკითხი, თუ არ შეიცვალა საარჩევნო კოდექსი? ჯონდი ბალათურია პასუხობს:

— დღეს მოქმედებს „ნაციონალური მოძრაობის“ დრაკონული საარჩევნო კოდექსი, რომელიც ძალიან კომფორტულია ნებისმიერი ავტორიტარული მიდრეკილების მმართველობისათვის. ასეთ შემთხვევაში არჩევნების ლეგიტიმურობა და სამართლიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. პირადად მე მიმაჩნია, რომ არჩევნებში მონაწილეობის საკითხი შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. — ამბობს ბალათურია თუმცა, იქვე აკონსტრუქციებს, რომ ეს მისი პირადი აზრია: — მე არ ვიცი სხვა კოლეგების აზრი, ამაზე გადწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული, თუმცა მე არ გამოვიცხავ, რომ პოლიტიკურ სპექტრში ჩვენ ვიყოთ ამ საკითხის წამოჭრის ინიციატორები. — აღნიშნა ბალათურია.



კახა კუკავას განცხადებით, მოლაპარაკების ამ ფორმატს ქართველი საზოგადოება ვერ მიიღებს:

— მიმდინარეობს საარჩევნო კოდექსის კიდევ უფრო გაუარესება. არ ხდება არც ერთი წინადადების გათვალისწინება საპრეზიდენტო არჩევნებამდე. ეს შეეხება როგორც ამომრჩეველთა სიას, ისე საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესს, პარტიების დაფინანსებას. — ამბობს კუკავა ჟურნალისტებთან.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი აცხადებს, რომ ყველა ოპოზიციური პარტია მიიჩნევს, რომ ოქტომბერში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები ვერ იქნება თავისუფალი და დემოკრატიული:

— ყველაფერი კეთდება არჩევნების გასაყალბებლად. ოქტომბერში ჩატარებული არჩევნების მიხედვით ვერ იქნება არჩეული ლეგიტიმური პრეზიდენტი. მარგველაშვილი შეიძლება გახდეს „ქართული ოცნების“ პრეზიდენტი, ის ვერ გახდება ქართული ხალხის პრეზიდენტი, თუკი არ იქნება არსებითი საარჩევნო გარემო ჯანსაღი. — ახეთია კუკავას პოზიცია.

ჟურნალისტების კითხვაზე — რამ განაპირობა ხელისუფლების გადწყვეტილება, კუკავა პასუხობს, რომ გიორგი მარგველაშვილის რეიტინგი საკმაოდ დაბალია:

— თუ ნახავთ კვლევებს, გიორგი მარგველაშვილის რეიტინგი არ აჭარბებს 30 პროცენტს, მაშინ, როცა კონსტიტუციის მიხედვით არჩევნების მოსაგებად, საჭიროა 51 პროცენტი. 21 პროცენტი ისე უნდა მოაგროვოთ, როგორც 2008 წელს მოაგროვა მიხეილ სააკაშვილმა: სიების ფალსიფიკაციით და ოქმების გადაწერით. — ამბობს კახა კუკავა.

არასაპარლამენტო ოპოზიცია საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ჩაშლის შესახებ პასუხს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისგან ელოდება.

არასაპარლამენტო ოპოზიციის შეხვედრის დასრულების შემდეგ „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელმა მამუკა კაციტაძემ განაცხადა, გადწყვეტილება საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტის უკან გა-

მონვევის შესახებ ივანიშვილს უკავშირდება.

— ჩვენ ერთმნიშვნელოვნად შევთანხმდით, რომ გადწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოზე, უკავშირდება პრემიერ-მინისტრსა და „ქართული ოცნების“ ლიდერს. აქედან გამომდინარე, ჩვენ პასუხს მისგან ველოდებით ამ რეალობის შეცვლასთან დაკავშირებით. არჩევნებთან დაკავშირებული გარემოს ოპოზიციური პასუხისმგებლობაც მასზე და შექმნილი რეალობის შეცვლის შესაძლებლობაც. აღმოჩნდა, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო უნარყო გამოეცხადებინა იმ შეთანხმების დასაცავად, რომელიც ჩვენ შორის შედგა. — აცხადებს კაციტაძე.

მისივე თქმით, მომავალ კვირაში დაგეგმილ საპარლამენტო რიგგარეშე სხდომების დროს არასაპარლამენტო ოპოზიციასაც ექნება გარკვეული აქტივობები და ეცდება ეს აქტივობები მოემსახუროს სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნას.

— შევეცდებით ეს აქტივობები მოემსახუროს ოპოზიციური, სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნას და ამ გარემოს დაზიანება არ გამოიწვიოს მთლიანად არჩევნების დელეგიტიმაციის საკითხი, რისი საფრთხის წინაშე ჩვენ დავდებით იმ არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრების მიერ, რომელიც მიღებულ იქნა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ საბჭოზე გასულ შაბათს, ურევში. — ამბობს კაციტაძე.

როგორც მოგვიანებით პრესისთვის გახდა ცნობილი, შეხვედრაზე არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები შეთანხმდნენ იმაზე, რომ მაქსიმალური ინფორმაციები მიეწოდება ამ თემით დაინტერესებულ ყველა სტრუქტურას, ქართულ არასამთავრობოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, დიპლომატიურ კორპუსს, ექსპერტებს და ა.შ. გუშინ ოპოზიციურმა პარტიებმა საარჩევნო გარემოს გაუარესების შესახებ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ 2013 წლის ოქტომბერში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელი წინაპირობების არარსებობის გამო, არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დგება.

**მამუკა კაციტაძე, „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი:**

— თუ თანაბარი, სამართლიანი საარჩევნო გარემო არ იქნა უზრუნველყოფილი, მაშინ რომელიც ლეგიტიმურობაზე შეიძლება საუბარი იყოს. ყოველთვის ვმბობდით, რომ სამართლიანობისთვის, ლეგიტიმურობისთვის საჭიროა პოლიტიკური კონსენსუსი, საზოგადოებრივი თანხმობა. როდესაც პირველივე შეთანხმებას ცხვირწინ გადავიხვევთ და დეპუტატებს არ ყოფნით საკუთარი პოზიციის დაცვა, თუნდაც მმართველი პოლიტიკური საბჭოს ხსოვს, რომელ არჩევნების სამართლიანობაზე საუბარი. ვგულსხმობ ყველა ტიპის არჩევნებს. დღეს ჩვენ ამ საკითხების განსახილველად შევიკრიბეთ. ახლა, ქართულ არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად ამ რეალობას, რომელიც ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში დადგა, განვიხილავთ და ბრძოლას გავაგრძელებთ, რომ საარჩევნო გარემო გაუმჯობესდეს. ჩვენთვის ყველა საკითხი მნიშვნელოვანია, მოვახერხებთ, რომ სამ საკითხთან დაკავშირებით შევთანხმებულიყავით, მაგრამ ჩაიშალა. უცებ ვიცავთ ცუდი სიზმარი ნახა, დაარტყა ხელი მიადგას და მოლაპარაკებაც დაამთავრა. არ ვიცი, რატომ უნდა აწყობდეს ეს ხელისუფლებას თუ ის ოდნავ მაინც ერკვევა პოლიტიკურ პროცესებში.



გიორგი თარგამაძე, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი:

— ჩვენ განცხადებაში დეტალურად აღვწერეთ, თუ რატომ შეიძლება არასამართლიანად ჩაითვალოს არჩევნები. როგორც ჩანს, საქართველოში სახელისუფლებო სკამებს აქვს ვირუსი, ამ ვირუსის შედეგად ხდება ის, რომ საერთოდ ივიწყებენ იმას, რაზეც მანამდე საუბრობდნენ. ამის მაგალითია ის, რომ „ქართული ოცნება“ ფაქტობრივად უარყოფს იმ მოთხოვნებს, რომელიც რეალობის ფარგლებში ჩვენთან ერთად მისთვის მთავარი ამოსავალი წერტილი იყო სამართლიანი საარჩევნო გარემოს ჩამოსაყალიბებლად. ე.წ. რეაინიდან დღეს პარლამენტში ექვსი პარტია წარმოდგენილია. ეს ვირუსი ასევე იწვევს იმას, რომ ხელისუფლებაში მოსულ პარტიებს ჰგონიათ, რომ სამართლიანად არიან მოსული ხელისუფლებაში და ოპოზიციის წევრებს არსებობს დაბრუნების იმედი. არა მხოლოდ არასაპარლამენტო პარტიებმა, არამედ მთელმა საზოგადოებამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედიამ ერთი კარგად უნდა შეეჯახა დარწმუნებით და შეეახსენათ ის, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ.

კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე:


— ხელმოწერილი იქნა შეთანხმება საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესების შესახებ. მოლაპარაკებები დანარჩენი ნაწილებზე უნდა გაგრძელდეს, თუმცა, „ქართული ოცნების“ პარტიულმა ცენტრმა ბაქაშელთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ გადწყვეტილება მემორანდუმის დენონსირების შესახებ მიიღეს. ამჟამად საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვა მიმდინარეობს უსუფაშვილი, ბაქაშელის ფორმატში. ეს კატეგორიულად მიუღებელია ქართველი საზოგადოებისთვის. საარჩევნო კოდექსის კიდევ უფრო გაუარესება მიმდინარეობს. არ ხდება ე.წ. რეინიდან არც ერთი წინადადების გათვალისწინება საპრეზიდენტო არჩევნებამდე. ეს შეეხება როგორც ამომრჩეველთა სიას, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირებას, პარტიების დაფინანსებას, კამპანიის წარმოების წესს, მედიის თავისუფლებას. ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით ძალაში რჩება ის ნორმა, რომელიც შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს მოქმედებდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ოქტომბერში ჩატარებული არჩევნები ვერ იქნება თავისუფალი და სამართლიანი.

**ალექსანდრე შალამბერიძე, „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენელი:**

— მემორანდუმს ხელი მოვაწერეთ, მაგრამ შეთანხმება ჩაიშალა ხელისუფლების მეცადინეობით. ქუცნაშვილმა დიდი ტყუილი თქვა, როდესაც მან განაცხადა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის და „მწვანეების“ პარტია ენიშნა კომპლექსი ცვლილებათა პაკეტის. ფაქტი ერთია, მათ არ უნდათ, რომ ცვლილებები საპრეზიდენტო არჩევნებამდე მიღებული იყოს.

**— ცვლილებები რას ითვალისწინებდა?**

— ერთ-ერთი უმთავრესი დაფინანსების საკითხი არის ის, რომ პარტიებს, რომლებიც ვერ მოხვდნენ პარლამენტში, დაფინანსება ჰქონდეთ, რომ იარსებონ, რომ არ გაქრნენ პოლიტიკური ასპარეზიდან. მეორე საკითხი იყო ადმინისტრაციისთან დაკავშირებული საკითხები. საარჩევნო კოდექსში ის უმსგავსოა, რომელიც იყო ნაციონალური მოძრაობის დროს, კვლავ დარჩა უცვლელად. საპრეზიდენტო არჩევნები ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კოდექსით ჩატარდება.



















# მანანა ბერიკაშვილი არიო ნიჟარაქს შეხვდა

კვა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი მომღერალ არჩილ ნიჟარაქს შეხვდა და სამინისტროს სახელთი მიულოცა საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე „სლავიანსკი ბაზარი 2013“ მეთრე საპრომო ადგილის მოპოვება.



ნაცხადა ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა ნანა ჯანელიძემ.

ერიკ გარანდომ ქართველ კინემატოგრაფებს ფრანგული კინოს მხარდაჭერის სისტემის პრეზენტაცია წარუდგინა. მოხსენების შემდეგ კი თამარ ტატიშვილი – საქართველოს წარმომადგენელი „ვერიმაჟში“ საფრანგეთის სახელმწიფოს სახელით, შევალის საპატიო ტიტულით დააჯილდოვა. ეს ჯილდო საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ შეაქვს კულტურაში და ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებაში.



ტი ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ყამბეგაშვილი მა არასრულწლოვანთა №11 დაწესებულებაში მონაწილეობის შემთხვევაში საჩუქრად ელექტროფორტეპიანო, ელექტროგიტარები და დასარტყამი ინსტრუმენტები გადასცეს.

„საქართველოს სამუსიკო სკოლების მხარდასაჭერად“ პროექტის ფარგლებში, ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით თბილისსა და რეგიონებში სხვადასხვა ღონისძიებებს ახორციელებს. მათ შორის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დადგენაზე, მანინის ფრანკფურტის ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ყამბეგაშვილი, არასრულწლოვანთა №11 დაწესებულებაში მსჯავრდებულებს 28 მაისს შეხვდა და მათ აკუსტიკური გიტარები და მუსიკალური ლიტერატურა გადასცა.

პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მხარდაჭერით. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თიანეთის გამგეობას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა. დოკუმენტს ხელს მოანერგეს მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგვილაძე და თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეებმა მალხაზ დავითაშვილმა.

მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებულია თიანეთში არსებული ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურული პარკისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია. დაგეგმილია ღია სცენისა და საზაფხულო კინოთეატრის მოწყობა. აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეწყობს თიანეთში კულტურული კერების აღორძინებას. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მოადგილე მანანა ბერიკაშვილი და თიანეთის საკრებულოს თავმჯდომარე გივი ნიკლაური.

# იხსანზე საქართველოდან დელეგაცია გაემგზავრა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ცილისტა ერთობლივი, შეჯერებული დასკვნის ნიადაგზე. ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ, ნაქარვემა გადაწყვეტილებებმა, კრიზისული ვითარება შექმნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, რის გამოც დარგში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მრავალ დაბრკოლებას აწყდებოდა.

ერთ-ერთი ასეთი დაბრკოლება იყო იხსანის ფაქტი, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დღემდე სათანადო რეაგირების გარეშე დატოვა მიმდინარე წლის 29 მარტს მიღებული ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და თურქეთს შორის გრძელვადიან თანამშრომლობის საერთო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. სწორედ ხელშეკრულების დროულად გაფორმებაზეა მნიშვნელოვანი დამოკიდებული ქართველ ექსპერტთა ჩართვა იხსანსა და ოშკში მიმდინარე სარეაბილიტაციო პროექტებში.

ყოველივე შემთხვევითიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ პრეზიდენტის ადმინისტრაციას, უწყებათაშორის კონსულტაციის ფორმატის შესაბამისად, შეიმუშაოს კომენტარები ხელშეკრულების ტექსტთან დაკავშირებით, რათა დასრულდეს დოკუმენტზე მუშაობა და, საბოლოოდ, შესაძლებელი გახდეს ამ ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული ჩვენი ზიარის კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის დახმარება. აცხადებენ კულტურის სამინისტროში.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ბათუმში გაკეთებული განცხადების მიხედვით, თურქეთის პრეზიდენტის მიხედვით და პრეზიდენტის რაბათის ციხესთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზიები არ აქვთ და საქართველოს მთავრობა აღნიშნული თემით სპეკულირებს. პრეზიდენტის თქმით, საქართველოს მთავრობას რაბათის ციხის დანგრევა სურს.

მიხელო სააკაშვილის განცხადებას ნინ უძლოდა კულტურის მინისტრის მოადგილის მარინე მიხანდარის განცხადება, რომლის თქმითაც, სააკაშვილი არ აწერდა ხელს თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა იხსანზე მიმდინარე რეაბილიტაციის პროექტში ქართული მხარის შენიშვნების გათვალისწინება.

იხსანის რეაბილიტაცია თურქეთის ხელისუფლებამ შარშან აგვისტოში დაიწყო. ქართული მხარეს სჭირდება ჩარჩო-დოკუმენტი, რომლის ძალითაც საფრეველს უფლებს შექმნას ალდგენით სამუშაოებში ჩართვას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ ბათუმში გაკეთებული განცხადების მიხედვით, თურქეთის პრეზიდენტის მიხედვით და პრეზიდენტის რაბათის ციხესთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზიები არ აქვთ და საქართველოს მთავრობა აღნიშნული თემით სპეკულირებს. პრეზიდენტის თქმით, საქართველოს მთავრობას რაბათის ციხის დანგრევა სურს.

# საქართველოში ზემოირას კონსერტები აღარ გაიშარება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კავშირდენ ქართულ მხარეს, რომლებმაც შარშან ჩაატარეს ზემოირას კონცერტი „ტრიუმფში“. ქართული მხარე დღემდე ცდილობდა ამ კონცერტის გადარჩენას და ახლაც ცდილობს, მიდიოდა მოლაპარაკებები კონცერტის თარიღის შეცვლაზე, რადგანაც 22 ივლისამდე ვერ ხერხდებოდა აპარატურის თბილისში ჩამოტანა! რადგანაც ქართველ ორგანიზატორებს კარგი დამოკიდებულება აქვთ მომღერლის თვლექტივთან, ისინი ცდილობდნენ ერთობლივად როგორმე ამ კონცერტის შენარჩუნებას!“ – აღნიშნულია განცხადებაში.

ზემოირას კონცერტებზე დასასწრები პირველი 300 ბილეთი 6 ივნისიდან განსაკუთრებულ ფასად 45 ლარად გაიყიდა, შემდგომ კი ბილეთების ფასი გაიზარდა და 60 ლარი გახდა. 13 ივნისიდან კონცერტის ორგანიზატორებმა ვიაიპი ბილეთების რეალიზაცია დაიწყეს. მსმენელმა სოციალურ ქსელში უკვე გამოთქვა უკმაყოფილება კონცერტის ჩაშლისთან დაკავშირებით. დაუბრუნებენ თუ არა მსმენელებს შექმნილი ბილეთის საფასურს ჩაშლილი კონცერტის ორგანიზატორები, ჯერჯერობით უცნობია.

## კოსმოხი ბ

შეუღლად: 1. მოვლენათა თანამიმდევრული მონაცვლეობა, განვითარების გზა; 2. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 3. მტისმეტად თამამი, უბოდიშო ქალიშვილი; 4. იაპონური საავტომობილო კომპანია; 7. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 8. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 12. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 14. აფრიკის სახელმწიფო ლიბერიის დედაქალაქი; 15. მათემატიკის ნაწილი; 17. უცოლ შვილი, ასაკოვანი მამაკაცი; 19. ტრაგედია „ოტელო“ პერსონაჟი; 20. ადამიანის სხეულის ესა თუ ის მდგომარეობა.

1	2	3	4
5	6	7	8
9	10	11	12
13	14	15	16
17	18	19	20
21	22	23	24

## ნინა ნომიქში გამოქვეყნებული კოსმოხიების პასუხები:

პროსპორდი ა  
შეუღლად: 1. კალიორია; 2. ფტორი; 3. ყარაყუმი; 4. სკლერა; 5. დიპლომა; 6. ბიგამია; 7. ლიანა; 13. ბაირამი; 14. კამამბერი; 15. ტენდენცია; 17. ნატალი; 18. მოხერი; 19. პერუ.  
თარაზულად: 7. ნარიტი; 8. კასკადიორი; 9. ჯოკერი; 10. სარეველი; 12. ბარბარიზმი; 14. კაიუტი; 16. ანტიგონე; 18. მამისონი; 20. ცხუმი; 21. მეი; 22. დაიმლერი; 23. ბუცი; 24. სუტნიორი.

პროსპორდი ბ  
შეუღლად: 1. ოროვკლა; 2. მაკეტი; 3. ხიზილალა; 4. სინერამა; 7. შემოქმედი; 8. სმირნოვი; 12. ვოჯოხეთი; 14. ხეჭქური; 16. ქვანკია; 17. ალაზანი; 13. ჭაჭა; 20. გეტა.  
თარაზულად: 5. გრადაცია; 6. ღრიანცელი; 9. მერიმი; 10. ტვენტი; 11. რითმა; 13. ლონკა; 15. მეთუნე; 18. რვალი; 21. ფუსკავატი; 22. ვალენსა; 23. თეორემა.



პრემიამ პახასევი 19 ივლისი

ყაზახლო-ბაღყარათში ოთხი შეიარაღებული მებრძოლი მოკლეს



ინტერფაქსის ინფორმაციით, ყაზახლო-ბაღყარათში, ისლამის სოფელთან ოთხი შეიარაღებული მებრძოლი მოკლეს. ამ დროისთვის შეტაკების ადგილის დათვლილება მიმდინარეობს. წინასწარი მონაცემებით, მოკლული ოთხი შეიარაღებული მებრძოლი, აღნიშნავს რესპუბლიკის სამართალდაცავი სტრუქტურის წყარო.

ალექსეი ნავალნის თავისუფლების 5 წლით აღკვეთა მიესაჯა



რუს ბლოგერსა და ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს ალექსეი ნავალნის თავისუფლების 5 წლით აღკვეთა მიესაჯა. კიროვის ლენინის რაიონულმა სასამართლომ ის კიროვლის "საქმეში" დამნაშავედ ცნო. ნავალნის ასევე ჯარიმის - ერთი მილიონი რუსული რუბლის გადახდა მიესაჯა. გარდა ამისა, სასამართლო თავისუფლების 4 წლით აღკვეთა მიესაჯა ამ საქმეში ბრალდებულ კიდევ ერთ პირს პეტრე ოფიცეროვს.

განაჩენში ნათქვამია, რომ გაუსვლელობის ხელნერილის ქვეშ მყოფი განსახიფთღი, სასამართლოს დარბაზში შეიჭრა და იქნეს დაპატიმრებული. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ნავალნის ჩვენებები მისი დაპატიმრების პოლიტიკური მოტივების შესახებ, არაფრით დასაბუთებული არ არის. განაჩენში ასევე ნათქვამია, რომ გამამტუნებელი განაჩენი გამომტანილი იქნა ხანძრის ყოფილი დირექტორის ჩვენებებზე და ასევე ნავალნის სატელეფონო საუბრებზე და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებზე დაყრდნობით. სასამართლომ „მოქმენის“ შედეგად მოპოვებული მტიკვებულებები საჯარო გახდა, თუმცა დაცვის მხარე ამას აპროტესტებდა და აცხადებდა, რომ ყველაფერი ეს უკანონო გზით იყო მოპოვებული. განაჩენს საფუძვლად ასევე დაედო ნავალნის საფოსტო მიმონერის გაშიფვრა. ალექსეი ნავალნისა და პეტრე ოფიცეროვის საქმის განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ ნავალნი იყო დანაშაულის ორგანიზატორი და ხელმძღვანელობდა სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გაფლანგვას, ოფიცეროვი კი მას ამასში ხელს უწყობდა. - იუსციება რუსული მედია. ნავალნის სასამართლოს 100 ზე მეტი რუსული და უცხოური მედიის წარმომადგენელი ესწრებოდა.

გურამ ოლიშარია გორში ჩავიდა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოლიშარია და მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი გორში ჩავიდნენ. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში დელეგაციამ დაათვალიერა გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი და ახსნრო კოლეჯთან არსებული ქალთა კამერული გუნდის კონცერტს. სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტის „რევივიონი კინოჩვენებების ხელ შეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, გორის ყოფილი კულტურის სახლის შენობას უკვე გადაეცა კინოჩვენებისათვის საჭირო ტექნიკური აღაბრატურა, ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა კინოდარბაზის დათვალიერება. სამინისტროს დელეგაცია აგრეთვე დაესწრო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამართულ ანიმაციური ფილმების ფესტივალს „ეკო-თოფუზი“; დაიგეგმა გორის მუნიციპალიტეტის გორგა ერისთავის სახელობის დირაბატიული თეატრის სარემონტო სამუშაოების დათვალიერებაც. ვიზიტის დასასრულს, დელეგაცია იოსებ სტალინის სახელმწიფო მუზეუმს ესტუმრა და შეხვედრა გამართა კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან. გორში ჩასვლამდე კულტურის მინისტრი ჩოხატაურის სტუმრობდა. კულტურის სამინისტროს დელეგაცია VI საერთაშორისო პოეზიის ფესტივალის „მთელი ხმით“ მონაწილეობით ერთად, ნოდარ დუმბაძის სახელმუზეუმს ესტუმრა, დაესწრო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულ

ლი ფოლკლორული ანსამბლის „ნართი“ კონცერტსა და ამავე ცენტრთან არსებული სახალხო თეატრის იმპროვიზირებულ გამოსვლას. VI საერთაშორისო პოეზიის ფესტივალის ფარგლებში დაიგეგმა ფესტივალის მონაწილეების მიერ, ჩოხატაურში მდებარე ნოდარ დუმბაძის სახელობის სკვერში, მწერლის ბიუსტის ყველაფერში შექმნა; ფესტივალის ფარგლებშივე გაიმართა საბავშვო ნახატების გამოფენა „მე ვხედავ მესხ“; ასევე ნოდარ დუმბაძის საბავშვო რუსულ-ქართული გამოცემის „ლექსები ბავშვებს“ პრეზენტაცია; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ფოლკლორული ანსამბლების „ხასანბეგურა“ და „ილეკო“ კონცერტები. VI საერთაშორისო პოეზიის ფესტივალის „სრული ხმით“ 13-22 ივლისის საქართველოს რევივიონიში მიმდინარეობს და მასში მონაწილეობას იღებენ, როგორც ქართველი, ისე უცხოელი პოეტები. ფესტივალში ჩართულია 70-ზე მეტი პოეტი და მთარგმნელი აშშ-დან, კანადიდან, რუსეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ეკვადორიდან, საფრანგეთიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. უცხოელ კოლეგებს ცნობილი ქართველი ლიტერატორები მასპინძლობენ. ფესტივალის „სრული ხმით“ ეძღვნება ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 85-ე და ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადებიდან 120-ე წლისთავს. ათი დღის განმავლობაში პოეტური მარათონი მოიცავს 17 ქალაქს - თბილისი, რუსთავი, გორი, ახალქალაქი, მარნეული, ფოთი, ბათუმი, ქობულეთი, ხეღვაჭაური, ქედა, შუახევი, მარტვილი, ზუგდიდი, ჩოხატაური, ოზურგეთი, ბაღდათი და ქუთაისი.

რა განაჩენს გამოუტანს ამერიკა ევროპას

ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის განცხადებით, ევროპაში ამ თვეში, შესაძლოა, სამოქალაქო ომი აიცილათ თავიდან. მისი თქმით, ეს ერთ-ერთი ფაქტორი იქნება რომელსაც ვაშინგტონი გაითვალისწინებს და გადაწყვეტს შეუნწყვიტოს თუ არა არაბულ ქვეყანას დახმარების მიცემა. როგორც ცნობილია, არმიამ მოქმედი პრეზიდენტი მოამედ მუსრის 3 ივლისს ჩამოაშორა ხელისუფლებას და ქვეყანას უკვე ახალი მთავრობა შვავს. ამის შემდეგ ქვეყანაში მუსრის მხარდამჭერების გამოსვლები არ ცხრება, რომლებიც პრეზიდენტის დაბრუნებას ითხოვენ.



პოტენციური სამოქალაქო ომისა და ძალადობის შემდეგ, ქვეყანაში კონსტიტუციური პროცესი ძალიან სწრაფად ვითარდება. ამრიგად, ჩვენ უნდა შევფასოთ ომი ფაქტები, რომლებიც კანონის ენინააღმდეგება და ეს ის არის რასაც ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ, - აღნიშნა კერი. „როიტერის“ ცნობით, ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის გარდა, ევროპის საგარეო საკითგებში ევროკავშირის უმაღლესი კომისიარი კეტრინ ეშტონიც ეწვია, რომელიც უილიამ ბარნისისაგან განსხვავებით, „ემბო მუსლიმების“ წარმომადგენლებსაც შეხვდა. ქვეყანაში კომისიის მხარდამჭერების დაპატიმრებები არ ცხრება. ოთხშაბათსაც პროკურორმა 70 მუსრის მხარდამჭერის დაპატიმრების ბრძანება გასცა. შეგახსენებთ, აშშ-ს მონო-დებას ევროპის ლიდერებისადმი, რომ „მუსლიმთა სამოს“ ლიდერების დაპატიმრებები შეწყვიტონ. „ბი-ბი-სის“ ცნობით, პარტიების დევნის წინააღმდეგ ევროპულ ევროპულ გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნამც გააფრთხილა.

ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დაგარიშ შემფოტება გამოთქვა „მუსლიმთა სამოს“ მაღალი რანგის პირების დაპატიმრებების გამო. „წარმატების მიღწევის ერთადერთი გზა მუსლიმთა შიგნით არსებული მოწინააღმდეგე მუსრის მხარდამჭერების შეწყვეტაა. - განაცხადა ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ჯეი კარნიემ. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ჯერ ფსაკი უფრო კრიტიკულად გამოეხატა და დაკავებებს და აღნიშნა, რომ ამერიკა ყურადღებით აკვირდება ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. მოამზადა გურა მამულაშვილმა

Table with program schedule: 07.30 'ჩვენი დილა' (3/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00. Includes TV9 logo and channel information.

	აშშ დოლარი	1,6536		ევრო	2,1743
	ინგლისური სტერლინგი	2,5168		100 რუსული რუბლი	5,0954



### ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედმა პრინციანს ქორწინებას სამეფო დასტური მისცა

ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ მეორემ სამეფო დასტური მისცა კანონს, რომელიც ერთსქესიან წყვილებს ინგლისსა და უელსში დაქორწინების უფლება აძლევს.



ამ კანონმა სამშაბათს ბრიტანეთის პარლამენტში ბოლო იურიდიული პროცედურების გაიარა. სამი უმსხვილესი ბრიტანული პარტიის ლიდერმა, მიუხედავად კონსერვატორების რიგებში არსებული წინააღმდეგობისა, კანონპროექტს მხარი დაუჭირა.

მოსალოდნელია, რომ ერთსქესიანი ქორწინების პირველი ცერემონიალი მომდევნო წლის ზაფხულში გაიმართება. ასეთი დაგვიანება რიგი ბიუროკრატიული საკითხების მოგვარების აუცილებლობით აიხსნება.


**ყველა გაითვალისწინეთ!** **საქართველოში** 19 ივლისს

**ნარბატული დღეა**

**პირი** – ფული გაქვთ, პრობლემას მოგვლევთ. **ქარი** – ის საქმე აკეთებ, რომელიც მოგწონთ. **მზაპი** – ფული გაქვთ, მაგრამ სულ არ დახარჯოთ. **ქირისი** – თქვენი საქმე კარგად მიდის, ახალ ბიზნესს წამოიწყებთ. **ლომი** – ახალი ცხოვრება მოგწონთ, ფულიც გაქვთ. **ქალაქი** – არ აყვებთ სხვებს, თავს მიხედეთ. **სასწრაი** – დიდი ხნის უნახავ ადამიანს შეხვდებით, მისგან ახალ ამბავს გაიგებთ. **ღიანაქალი** – პრობლემა წამდევს გაქვთ, მაგრამ მალე აღარ გექნებათ. **მედიკოსი** – ნუ აყვებით სხვებს, თავს მიხედეთ. **თხის რაი** – დაიხვეწეთ მყუდრო გარემოში, გადაღლილი ხართ. **მანქანა** – ეს დღე მეგობრებს დათმეთ, მათგან კარგ ამბავს გაიგებთ. **თიხა** – მთლიანობაში პარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კისეხვებზე ბენიქი დღეა!**

**შეუღალად:** 1. მუსიკალური ფრაზის გამეორება სხვა ხმითა და სხვა ტონალობით; 2. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 3. ფილტრის პაპირისი; 4. ებრაელთა სასულიერო პირი; 5. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 6. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი; 7. შვეიცარიის დედაქალაქი; 8. უნგრელი მეორე სახელწოდება; 9. კლიმატური კურორტი დუშეთის რაიონში; 10. მანძილის საზომი ერთეული ზღვარის ნაერთი ფანგბადთან და ფანგელებთან; 11. აზროვნების ორგანო; 12. ნიკოლოზის მითხრობა; 13. ქართველი დრამატურგი, რეჟისორი, მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი საქართველოში; 14. სამეურნალო მცენარე; 15. სითხის, აირის წნევის საზომი ხელსაწყო.

**შეადგინა თ. გოგინაშვილი**



### იზნანზე საქართველოდან დელეგაცია გაემგზავრა

#### ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩს, ბატონ ლევან მურათ ბურჰანს შორის მოლაპარაკებებისა და თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს მიერ გამოხატული კეთილი ნების საფუძველზე, ქართველ სპეციალისტთა ჯგუფი მესამედ გაემგზავრა თურქეთში.



თურქეთსა და საქართველოს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული ძეგლების და შესაბამისად, საქართველოში არსებული თურქული ძეგლების რესტავრაციასთან დაკავშირებით. ქართულ მხარეს მზად აქვს დოკუმენტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერას ესაჭიროება, თუმცა მიხილ სააკაშვილი დოკუმენტზე ამ დრომდე არ აწერს ხელს. თავის მხრივ საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ არაფრის ფასად არ უნდა მოხდეს რაბათის ნგრევა, ხოლო კულტურის სამინისტრო განმარტავს, რომ პრეზიდენტი ცრუობს და რაბათი არ დაინგრევა.

კულტურის სამინისტროს ცნობით, ეს იქნება ტაძარზე განხორციელებული სამუშაოების შეფასებითი ვიზიტი. პირველ დღეს დელეგაცია ჩავა იზნანში, შეხვედრებიან ადგილობრივ კოლეგებს, გაუზიარებენ მათ რეკომენდაციებსა და შენიშვნებს და მათთან ერთად სამომავლო სამუშაოებს დაგეგმვენ. მეორე დღეს კი დელეგაციის წევრები ოშკში გადავლენ და ტაძარს მოინახულებენ.

თურქეთში, იზნანზე ქართველ სპეციალისტთა ვიზიტი თურქული მხარის კეთილი ნების გამოხატულების შედეგია. ამ მიზნით კულტურის სამინისტრომ საქართველოში თურქეთის ელჩს ერთი თვის წინ მიმართა. იზნანში ქართველი სპეციალისტები ბოლოს აპრილის თვეში იმყოფებოდნენ.

როგორც კულტურის სამინისტროში განმარტეს, სპეციალისტები თურქეთში ყოფნისას ექნებათ იზნანზე მიმდინარე სამუშაო პროცესის შეფასებისა და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების შემუშავების შესაძლებლობა.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. რაბათის ტერიტორიაზე არც ნგრევა დაგეგმილია და არც მინარეთების დაშენება, განზრახულია მხოლოდ 2012 წელს აშშ-ის მხრიდან რეაბილიტაციის და შევსების მიზნით ხარვეზის გამოსწორება, რომელშიც შელასა ძეგლის ავტენტურობა და სპეციალისტების უკმაყოფილება გამოიწვია. „საქართველოს მთავრობას მოეწონებდა, ნუ ნიღბავს თავის დაუყოვნებელ დასაწყობს, რომ დაანგრის რაბათი მხოლოდ იმის გამო, რომ ის არის ვანი მერაბიშვილის და ჩემი აწინააღმდეგო“. ამ სიტყვებით პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უახლოეს წინაშეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უმნიშვნელოვანესი საკითხები ცალკეულ პოლიტიკოსთა ერთპიროვნული გადაწყვეტილებების საფუძველზე წყდებოდა და არა ამ დარგის სპეციალისტების მიერ.

### საქართველოში ზეფირას კონცერტები აღარ გაიმართება

#### ეკა ირემაშვილი

რუსეთში მოღვაწე მომღერლის, ზემფირას კონცერტები საქართველოში აღარ გაიმართება. კონცერტების ჩაშლის შესახებ ოფიციალური განცხადება მომღერლის საიტზე უკვე განთავსებულია: „16 ივლისს შემატყობინეს, რომ კონცერტები საქართველოში ხმის და განათების აუცილებელი აღჭურვილობის არარსებობის გამო ჩაიშალა. ახალმა ამბავმა გული ამიტრია და გამანანყენა. საქართველო, ვწუხვარ! უფრო დეტალურ ინფორმაციას კომპანია ქ.ე.თ.-ი მოგაწვდით. მე უკვე შევებულე და მემწყეო“, აღნიშნულია ზემფირას განცხადებაში.

ინფორმაცია, რომ ზემფირას კონცერტები საქართველოში ჩაშლის წინაშე იდგა, ორივე დღის წინ გაავრცელდა. მომღერალს თბილისსა და ბათუმში უნდა ემღერა. 20 ივლისს მისი კონცერტი ბათუმში პიატას მოედანზე იყო დაგეგმილი, 22 ივლისს კი – თბილისში მთაწმინდის პარკში. კონცერტი „ლაივ კონცერტის“ ორგანიზებით უნდა ჩატარებულიყო და მომღერალს მსმენელის წინაშე უახლესი ალბომის „უიტ ჯ ჯეივინი“ პრეზენტაცია უნდა მოეწყო. მომღერალი ბენდთან ერთად, საქართველოში 12-კაციანი შემადგენლობით უნდა ჩამოსულიყო და ორსაათიანი კონცერტი გაემართა. ამ ალბომით მომღერალმა საკონცერტო კარიერა დაიწყო.

კომპანია „ლაივ კონცერტის“ დირექტორმა კირილ ხიმიჩევამ რამდენიმე თვით ადრე განაცხადა, რომ ზემფირას საქართველოში დაბრუნების დიდი სურვილი ჰქონდა, რადგან იგი შეყვარებულია ქართველ მსმენელზე. ბათუმის პიატას კონცერტის ჩატარების იდეა სწორედ მომღერალს ეკუთვნის. კომპანიის ხელმძღვანელი მცხეთაში ჩატარებული ფესტივალის „ოაზისი“ ორგანიზატორიც არის, სადაც 60-მდე ახალგაზრდა დააკავეს.



ზემფირა კონცერტებს საქართველოში ხშირად მართავს. მისი ბოლო კონცერტი ჩვენთან შარშან ჩატარდა. ამ პერიოდში კირილ ხიმიჩევი მომღერლის ტურ-მენეჯერი იყო. მის შემოქმედებას საქართველოში საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. მომღერალი არასოდეს მალავს, რომ ძალიან უყვარს საქართველო და ქართველი მსმენელი, ამიტომაც ყოველთვის დიდი სიამოვნებით ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში. მომღერალმა სურვილი გამოთქვა, რომ ახალი ალბომი ევროპის შემდეგ საქართველოშიც წარედგინა, თუმცა ტექნიკურმა მიზეზებმა მისი კონცერტები ჩაშალა.

### ზაზა ფაჩულია ოფიციალურად მილუოკელია

ქართველი ცენტრი რომ „ბაქს“ 3-წლიანი კონტრაქტზე შეუთანხმდა. ეს 2 კვირის ამბავია, გუშინ კი ფაჩულიამ „მილუოკისთან“ ხელშეკრულება გააფორმა. როგორც თავიდანვე გაცხადდა, კონტრაქტი 3-წლიანი და 16-მილიონიანია.

ფაჩულია „ბაქსის“ ლირსებას ერთხელ უკვე იცავდა. ეს ქართველი ცენტრის ამერიკული კარიერის დასაწყისში, 2004-05 წლების სეზონში იყო და მაშინ ჩვენებურმა მილუოკელთა მასშტაბით 74 მატჩი ჩაატარა, მისი საშუალო მონაგარი კი 6.2 ქულა და 5.1 მოხსნა.

**ზაზა ფაჩულია:**

– იმ კლუბს დავუბრუნდი, საიდანაც ნა-ში ჩემს ერთ-ერთ პირველ ნაბიჯებს ვდგამდი და დიდი გამოცდილებაც მივიღე. მომავალი ბატალიებისთვის აქედანვე ვემზადები. ტრავმით გამოწვეულმა უსიამოვნო პერიოდმა უკვე ჩაიარა და რეაბილიტაციის პერიოდს ვარგად მივლი.

შეგახსენებთ, რომ ფაჩულია აპრილში აქილევსის ქუსლზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციის კურსს გადის. საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი სექტემბერში სლოვენიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის გამოვალანდებლავ ვერ ასწრებს.

მილუოკის „ბაქსის“ ლირსებას ერთხელ უკვე იცავდა. ეს ქართველი ცენტრის ამერიკული კარიერის დასაწყისში, 2004-05 წლების სეზონში იყო და მაშინ ჩვენებურმა მილუოკელთა მასშტაბით 74 მატჩი ჩაატარა, მისი საშუალო მონაგარი კი 6.2 ქულა და 5.1 მოხსნა.

